



*კვლევის ავტორი: თინათინ იზორია*

### **გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში**

ქართული მედია გარემოსდაცვითი საკითხებით (პრობლემებით) იშვიათად ინტერესდება და ამას უფრო კამპანიური ხასიათი აქვს. – ასეთი დასკვნა გამოიკვეთა ქართულ მედიაზე განხორციელებული მედია-მონიტორინგის შედეგად.

მედიის განვითარების ფონდი დღეს წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგებს თემაზე: გარემოსდაცვითი თემების გაშუქება ქართულ მედიაში. კვლევა მოიცავს 2012 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში გამოქვეყნებული საგაზეთო სტატიებისა და ტელევიზიური გადაცემების ანალიზს ეკოლოგიის თემატიკაზე. ანგარიში მომზადებულია პროექტის „მედია-მონიტორინგი – პროფესიონალური მედიის განვითარებისთვის“ ფარგლებში (ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით) მკვლევარის თინათინ იზორიას მიერ.

მედიამონიტორინგი ეყრდნობა გაზეთებში - „რეზონანსში“, „24 საათს“ და „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს; ასევე სატელევიზიო არხების - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედის“, „კავკასიის“, „მაესტროსა“ და „რუსთავი 2-ის“ ეთერით გასულ სიუჟეტებს.

გამოქვეყნებული საგაზეთო მასალებისა და სატელევიზიო სიუჟეტების გასაანალიზებლად გამოყენებული იყო სხვადასხვა კრიტერიუმი: საკითხის მნიშვნელოვნება, სიზუსტე, ბალანსი, წყაროების რაოდენობა და მრავალმხრივობა, წერის სტილი, ციტატები.

ამასთან მომზადდა კვლევის ვიზუალური მასალა - საგაზეთო სტატიებისა და სატელევიზიო სიუჟეტების დიაგრამები.

საანგარიშო პერიოდში გამოვიდა გაზეთების - „რეზონანსის“ 30 ნომერი, „24 საათის“ 25 ნომერი და „კვირის პალიტრის“ 5 ნომერი. ამავე დროს, კვლევა შეეხო შემდეგი

ტელეკომპანიების ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ („მომამბე“), „რუსთავი-2“ („კურიერი“), „კავკასია“ („დღეს“), „მაესტრო“ („ახალი ამბები“), „იმედი“ („ქრონიკა“).

ანგარიში 16 საგაზეთო სტატიისა და 42 სატელევიზიო სიუჟეტის ანალიზს ეფუძნება.

ერთთვიან პერიოდში (2012 წლის 12 მარტი-12 აპრილი) ქართულ მედიაზე დაკვირვებამ გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა. გაირკვა, რომ ქართული მედია გარემოსდაცვითი საკითხებით (პრობლემებით) იშვიათად ინტერესდება და ამას უფრო კამპანიური ხასიათი აქვს. საანგარიშო პერიოდში ამ თემატიკას მხოლოდ 16 საგაზეთო სტატია და 42 სატელევიზიო სიუჟეტი მიეძღვნა. ამათგან უმრავლესობა საინფორმაციო სააგენტოების მოკლე ინფორმაციაა (გაზეთებში) და სტიქიური მოვლენების გაშუქება (ტელევიზიით).

ქართული ბეჭდური მედიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (საღამოს ამბები არ შუქდება, თუ რედაქცია მნიშვნელოვან თემად არ მიიჩნევს) ზემოხსენებულ გაზეთებს არ დაუბეჭდავს არც სტატია და არც საინფორმაციო სააგენტოს მოკლე ინფორმაცია დედამიწის დღესთან დაკავშირებით 31 მარტს გამართულ აქციაზე. თუმცა, ეს მოვლენა მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში (საღამოს) გააშუქეს ტელევიზიებმა: განხორციელდა პირდაპირი ჩართვები თბილისში აქციის გამართვის ადგილიდან.

მონიტორინგის შედეგები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეკოლოგიის საკითხებით ქართული მედიის დაინტერესება უფრო ზედაპირულია, ძირითადად რეპორტაჟული ხასიათის და იშვიათად ხდება პრობლემის ღრმად და მრავალმხრივი განხილვა, დარღვეულია მხარეთა ბალანსი, ნათლად ჩანს ჟურნალისტის სუბიექტური პოზიცია, ენა და სტილი არ ჯდება სტანდარტებში (ძირითადად საგაზეთო სტატიებში).

ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ ბეჭდური მედიისა და ტელევიზიების დაინტერესებას გარემოსდაცვითი საკითხებით და მათი გაშუქების სტილსა და სტანდარტებს.

## 1. გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ქართულ ბეჭდურ მედიაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ბეჭდური მედია („რეზონანსი“, „24 საათი“, „კვირის პალიტრა“) იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ინტერესდება ეკოლოგიური პრობლემებით, უცხოა ჟურნალისტური გამოძიება, ძირითადად ზედაპირულია და

ფაქტების კონსტატირებით შემოიფარგლება. ერთი თვის მანძილზე ყველაზე ხშირად (13 სტატია/ სააგენტოს ინფორმაცია) გარემოსდაცვითი საკითხები გაზეთ „რეზონანსში“ გაშუქდა; 2 სტატია დაიწერა „კვირის პალიტრაში“; ხოლო გაზეთ „24 საათში“ მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნდა საინფორმაციო სააგენტოს სტილის მოკლე ინფორმაცია.

## რა ტიპის და სტილის სტატიებია

გარემოსდაცვით თემატიკაზე გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებიდან (თუ არ ჩავთვლით გაზეთებში გამოქვეყნებულ საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციას, რომლებიც წმინდა „ნიუსური“ ტიპისაა (წყარო-ინფორმაცია-კომენტარი) გაზეთის ჟურნალისტის მიერ მომზადებული სტატიებიდან (სულ 6 სტატია) ორი ინფორმაციული ხასიათისაა, ერთი - რეპორტაჟია, ორი ინტერვიუა, ხოლო ერთი შერეული ტიპის (ინფორმაცია-ინტერვიუ-ჟურნალისტის პოზიცია).

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეკოლოგიის თემაზე ქართულ ბეჭდურ მედიაში ძირითადად საინფორმაციო სააგენტოს სტილის მოკლე სტატიები ან თავად სააგენტოების ინფორმაცია ვრცელდება. მაგალითად, გაზეთ „24 საათის“ 19 მარტის ნომერში გამოქვეყნებული მოკლე სტატია „საქართველოს ტერიტორიაზე ორი მიწისძვრა დაფიქსირდა.“ სტატიის ტიპის მიხედვით აშკარად სააგენტოს ინფორმაციაა, თუმცა, სააგენტო მითითებული არ არის. გადმოცემულია ინფორმაცია, რომ წალკის რაიონში ორი მიწისძვრა დაფიქსირდა: პირველი 3,1 მაგნიტუდის სიმძლავრის, ხოლო მეორე „მცირე მიწისძვრა“. სტატია (სააგენტოს ინფორმაცია) არასრულია - არ არის მოცემული ცნობა მიწისძვრის შედეგების შესახებ - თუნდაც ბანალური ფრაზა - „ნგრევსა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.“ ერთი თვის განმავლობაში გაზეთი „24 საათი“ მხოლოდ ამ ინფორმაციით შეეხო გარემოსდაცვით საკითხს.

გაზეთ „რეზონანსში“ ეკოლოგიურ თემატიკაზე ერთი თვის მანძილზე 4 სტატია და საინფორმაციო სააგენტოს 9 ინფორმაცია დაიბეჭდა. სააგენტოების ინფორმაცია რეგიონებში უხვი ნალექის შედეგად მდინარეების ადიდებას, მეწყრის ჩამოწოლას, მიწისძვრებს, მდ.დურუჯის კალაპოტის გაწმენდით სამუშაოებს, დათვის მოკვლაში ბრალდებულებისთვის განაჩენის გამოტანას, გარემოს დაცვის კანონში ცვლილებების გაპროტესტებას, თბილისში სარეკრეაციო ზონების განადგურებას ეხება. ამ შემთხვევებში მეტ-ნაკლებად დაცულია საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციისთვის დამახასიათებელი ახალი ამბების სტილი: გადმოცემულია ინფორმაცია წყაროს კომენტარით. თუმცა, ისევე, როგორც „24 საათში“

გავრცელებულ ინფორმაციაში, 19 მარტს „რეზონანსში“ დაბეჭდილ სააგენტო „პირველის“ ინფორმაციაში „საქართველოს ტერიტორიაზე ორი მიწისძვრა მოხდა“, არაფერია ნათქვამი მიწისძვრის შედეგებზე.

„რეზონანსის“ 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „დღეს მთელს საქართველოში წყალდიდობაა მოსალოდნელი“, საუბარია აჭარის, გურიისა და იმერეთის რეგიონებში მდინარეების მოსალოდნელ ადიდებაზე. სტატია ინფორმაციული ხასიათისაა და გარემოს დაცვისა და მონიტორინგის ცენტრის მონაცემებს ეყრდნობა. მასში საუბარია მხოლოდ ჰიდროლოგიურ პროგნოზებზე, მოსალოდნელ სტიქიებზე, რაც მკითხველისთვის ცხადია, საინტერესოა. თუმცა, სტატია არასრულყოფილია. ჟურნალისტი უნდა დაინტერესებულიყო და მკითხველისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია პრევენციული ღონისძიებების შესახებ (ნაპირსამაგრი სამუშაოები, საფრთხის შემცველ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის ევაკუაცია, საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ჩასასახლებელი ადგილების არსებობა, სამაშველო და სხვა სამსახურების მზადყოფნა).

„რეზონანსის“ 23 მარტის ნომერში განთავსებულ სტატიაში „ცხინვალი კვასიაში რადიოაქტიური ნარჩენების ჩამოტანას უარყოფს“ მხოლოდ ერთი რესპოდენტის - კავკასიის საკითხებში ექსპერტის მამუკა არეშიძის მოსაზრებებს ეყრდნობა. სტატიაში საუბარია, რომ ცხინვალის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს რუსეთი კვასიაში რადიოაქტიური ნარჩენების დამარხვას გეგმავს. დე-ფაქტო პარლამენტის დეპუტატი (სახელი და გვარი არ კონკრეტდება) უარყოფს ვლადიკავკაზიდან კვასიაში რადიოაქტიური ნარჩენების ჩატანა დამარხვის შესაძლებლობას. კავკასიის საკითხებში ექსპერტი მამუკა არეშიძე კი ამის ალბათობას უშვებს: „გავრცელებული ვერსიით მიმდინარეობს მუშაობა ვლადიკავკაზში მდებარე ქარხანა „ელექტრონიკის“ რადიოაქტიური ნარჩენები, რომელიც ადრე ურალში გაჰქონდათ და ახლა ურალი აღარ იღებს, კვასიაში ჩაიტანონ და იქ დამარხონ. ნაწილობრივ მიტოვებულ მაღაროებში უნდა გაკეთდეს ბეტონის სარკოფაგი, მათი მომზადება არ არის ძალიან რთული.“ თუ რა გავლენას მოახდენს რადიოაქტიური ნარჩენების შესაძლო ჩამოტანა კვასიაში - ამაზე კომენტარს სპეციალისტის ნაცვლად, რატომღაც, კვლავ კავკასიის საკითხებში ექსპერტი მამუკა არეშიძე აკეთებს: „კავკასიონი არის წყალწარმოქმნის ადგილი და სწორედ ჯავის რაიონია რეგიონის წყალმომარაგების ძირითადი აუზი. ძნელია იმის თქმა, რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამას წლების შემდეგ.“ კარგი იქნებოდა, ჟურნალისტს ინფორმაციის რეალობა საქართველოს შესაბამის უწყებებში გადაემოწმებინა და სტატია სრული სახით მიეწოდებინა მკითხველისთვის.

„რეზონანსის“ 28 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „მწვანეთა პარტიის ლიდერი სააკაშვილის განცხადებას მორიგ სიყალბეს უწოდებს“ მოცემულია ინტერვიუ „მწვანეთა პარტიის“ ლიდერთან გიორგი გაჩეჩილაძესთან. ლიდში ჟურნალისტი საქართველოს „მწვანეთა“ ლიდერის კომენტარის საბაზს ვვამცნობს: ბირთვული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ „სამხრეთ კორეის დედაქალაქში სეულში გამართულ სამიტზე სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელმაც ისაუბრა საქართველოში ბირთვული უსაფრთხოების სფეროში მიღწეულ პროგრესზე და ასევე დააფიქსირა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბირთვული კონტრაბანდის რამდენიმე შემთხვევა.“ პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას გაჩეჩილაძე „მორიგ სიყალბეს და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ნაცრის შეყრას“ უწოდებს. „საქართველოს პარლამენტმა გააუქმა „მწვანეთა პარტიის“ მიერ 1998 წელს შემუშავებული და დღემდე მოქმედი კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ,“ რომლითაც საქართველოს ბირთვული ობიექტებისა და ტექნოლოგიებისაგან, რადიექტიული ნარჩენებისაგან თავისუფალ სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული. ახალი კანონი კი წარმოადგენს მცდელობას საქართველო გადააქციოს ბირთვული ობიექტების მშენებლობის პოლიგონად და ბირთვული ტექნოლოგიების სატრანზიტო დერეფნად. 2012 წლის მთავრობის ახალი კანონით დაშვებულია: ბირთვული ობიექტების, მათ შორის ატომური სადგურების მშენებლობა. რადიექტიური ნარჩენების რეექსპორტი. ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობათა ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი. „მწვანეთა პარტია“ მივმართავთ ბირთვული უსაფრთხოების სამიტს, აშშ-ს, ევროკავშირს - რამდენად შეესაბამება კანონპროექტის სულისკვეთება საერთაშორისო მოთხოვნებს ბირთვული უსაფრთხოების სფეროში და თქვენს მიერ რეგიონის ზოგიერთი ქვეყნისათვის ბირთვული ტექნოლოგიების მიწოდების აკრძალვას?“ - აცხადებს გაჩეჩილაძე. სტატია საინტერესო და საჭირობოროტო თემას ეხება, თუმცა, მკითხველისთვის სრული ინფორმაციის მიწოდებისთვის კარგი იქნებოდა დაცულიყო მხარეთა ბალანსი; არ ჩანს მეორე მხარის - საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლის - მთავრობის წევრის (გარემოს დაცვის სამინისტროს), პარლამენტის წევრის პოზიცია საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებზე (ბირთვული ტექნოლოგიების სატრანზიტო დერეფანი, რეგიონის ზოგიერთი ქვეყნისთვის ბირთვული ტექნოლოგიების მიწოდების აკრძალვა).

„კვირის პალიტრის“ მე-11 ნომერში (12-18 მარტი) დაბეჭდილია სტატია „ნაგვის ქალაქი“ ანუ ნაგავსაყრელი ქათქათა ბათუმის ფონზე. სტატია რეპორტაჟის ტიპისაა. საუბარია ბათუმიდან 8 კილომეტრში 10 ჰექტარზე დიდი ნაგავსაყრელის არსებობაზე. „აქ დღის განმავლობაში სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დატვირთული ასი სატვირთო მანქანა მაინც იცლება.“ მოცემულია ინტერვიუ

ხალხთან, რომელიც ნაგავსაყრელზე ჯართსა და პლასტმასს აგროვებს. ჟურნალისტი აღწერს ნაგავსაყრელზე არსებულ ანტისანიტარიას და სტატიას მხოლოდ სოციალურ მიმართულებას აძლევს - როგორ ირჩენს ხალხი თავს ნაგავსაყრელზე მოგროვილი საგნებით. თემა თავისთავად ძალიან საინტერესოა და ყველა ქალაქისთვის მეტნაკლებად მტკივნეულიც; თუმცა, დარღვეულია სტანდარტები. ჟურნალისტი არ შეეცადა სტატიისთვის სრულყოფილი სახე მიეცა. კერძოდ, არ ჩაიწერა ბათუმის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლის კომენტარი ნაგავსაყრელის სანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებით; არ გამოუკვლევია ის საშიშროება, რომელიც შესაძლოა ამ ნაგავსაყრელმა გარშემო მყოფ ადამიანებს და ახლომახლო გარემოს მოუტანოს; არ გაუგია არსებული პრობლემის მოსაგვარებლად ბათუმის მერია ან აჭარის ხელისუფლება რამე ღონისძიებების გატარებას აპირებს თუ არა.

კვირის პალიტრის“ მე-14 ნომერში (2-8 აპრილი) რუბრიკით „SOS!“ გამოქვეყნებული სტატია ორ გვერდზეა განთავსებული და, რატომღაც, სხვადასხვა სათაური აქვს. სტატია იწყება გაზეთის მეხუთე გვერდზე სათაურით „ეს კანონი კი არა, საშვილიშვილო წყევლაა!!!“, ხოლო მეთოთხმეტე გვერდზე დაბეჭდილ სტატიის გაგრძელებას სათაურად აქვს „ვინ მოგცათ ერის საარსებო გარემოს განადგურების უფლება?!“ სტატიაში საუბარია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში. ჟურნალისტი წერს, რომ „ამიერიდან პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დაინტერესებულ პირსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის დაიდოს შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით, თუ პირი გადაიხდის კომპენსაციას, შეთანხმების მოქმედების პერიოდში მისი ყველა ქმედება კანონიერად(!) ჩაითვლება...“ სტატიაში წარმოდგენილია იმ მუხლების სრული ნუსხა, რომლის „დარღვევის შემთხვევაშიც პირი სრულად თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.“ თავად სტატია მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს სტანდარტებს: მოცემულია კანონში შესატანი ცვლილებები, ერთი დამოუკიდებელი ექსპერტის - არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ იურისტის ნიკოლოზ მჟავანაძის კომენტარი: „საქართველოს პარლამენტმა კი, შემიძლია ყოველგვარი მორიდების გარეშე ვთქვა, ერის ღალატის ტოლფასი გადაწყვეტილება მიიღო! ამაზე მეტი ღალატი რაღა გინდა, ეს კანონპროექტი და კანონი კი არა, საშვილიშვილო წყევლაა. ადამიანს, რომელიც შეთანხმებას გააფორმებს ეკონომიკის სამინისტროსთან და ფულს გადაიხდის, ამიერიდან ეძლევა უფლება, გააკეთოს ის, რაც მოესურვება: დაწვას და დაბუგოს ტყე, მოწამლოს წყალი, გაჟლიტოს „წითელ წიგნში“ შეტანილი ცხოველები და პასუხს არავინ მოსთხოვს;“საერთაშორისო ორგანიზაცია „ორჰუსის ცენტრის“ (ცენტრი საქართველოში ეუთოს მისიისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

რესურსების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით დაარსდა) განმარტება: „... კანონპროექტის არსებული სახით მიღებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი და შეუქცევადი ზიანი მიაყენოს გარემოს, და ასევე გაზარდოს პოტენციური კონფლიქტის რისკები კერძო სექტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.“

სტატიაში მოცემულია საპარლამენტო ოპოზიციის ორი წარმომადგენლის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრის ნიკა ლალიაშვილისა და უფრაქციო დეპუტატის დიმიტრი ლორთქიფანიძის უარყოფითი პოზიცია საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

ჟურნალისტი სტატიაში აღწერს კანონპროექტთან დაკავშირებით არასამთავრობო სექტორის შეხვედრას ენერგეტიკის მინისტრის მოადგილესთან ნინო ენუქიძესთან: „ენუქიძის მტკიცებით, ეს კანონი წარსულში ჩადენილ დანაშაულებს ეხება. თუმცა, მას შემდეგ, რაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა სთხოვეს ენუქიძეს, მიეთითებინა კანონის ის პუნქტი, სადაც მსგავსი რამ ეწერა, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ მთავრობა ამ საკითხზე დამატებით დებულებას გამოსცემს.“

სამწუხაროდ, სტატიაში არ არის მეორე მხარის - საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორებისა და მხარდამჭერების კომენტარები. ჟურნალისტი აღნიშნავს: „ბევრი ვცადეთ ამ საკითხზე კომენტარი მიგველო გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძისგან, მაგრამ მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.“ „ამ საკითხზე მინისტრ (გარემოს დაცვის მინისტრ) გოგა ხაჩიძესთან გასაუბრება ვცადეთ, და ვუკავშირდით პრესსამსახურს, მაგრამ კომენტარი ვერ მივიღეთ.“ ჟურნალისტის მცდელობა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის კომენტარი მოეპოვებინა უშედეგოდ დასრულდა: „პარლამენტარი კობა ხაბაზი უმრავლესობაში ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია, რომელმაც ამ კანონს მხარი არ დაუჭირა. მას შემდეგ, რაც ბატონ კობას მესიჯი გავუგზავნეთ და ვაცნობეთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვურეკავდით, ტელეფონი გამორთო.“ ასე, რომ სტატია ცალმხრივია, პოლიტიზირებული და სრულ ინფორმაციას არ იძლევა საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით. მკითხველს საკანონმდებლო ცვლილებებზე მხოლოდ ერთი - უარყოფითი პოზიცია მიეწოდა. რაც სტატიის ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

## სად ვითარდება მოქმედება

სტატიათა უმეტესობა, როგორც აღვნიშნეთ, საინფორმაციო სააგენტოს სტილისაა. ყველა ინფორმაციაში მოქმედება საქართველოში ხდება. მოცულია თითქმის მთელი ქვეყანა - მეწყერი აჭარაში, წყალდიდობები გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, ხანძარი იმერეთში, მიწისძვრა კახეთში, მდ. დურუჯის ნაპირსამაგრი სამუშაოები, სარეკრეაციო ზონები თბილისში. ყველა ნიუსი ინფორმაციული ხასიათისაა და მათში მხოლოდ ფაქტების კონსტატირება ხდება. რაც შეეხება ჟურნალისტის მიერ მომზადებულ საგაზეთო სტატიებს: „რეზონანსის“ 12 აპრილის სტატიაში „დღეს მთელს საქართველოში წყალდიდობაა მოსალოდნელი“ აჭარა-გურია-იმერეთის მდინარეებში წყლის დონის მატებაზეა საუბარი. იმავე გაზეთის 31 მარტის სტატია „ექსკურსიებისა და ლაშქრობების სეზონი აპრილიდან გაიხსნება“ უფრო სოციალურ-მომხმარებლური ხასიათისაა და მთელი ქვეყნის მასშტაბით ლაშქრობებსა და ამისთვის საჭირო ხარჯებს ეხება. სამწუხაროა, რომ სტატიაში გაკვრიტაც არ არის ნახსენები ეკოლოგიური თემები - თუნდაც, ექსკურსიებისა და ლაშქრობების დროს გარემოს დანაგვიანების პრობლემა.

## ინფორმაცია წყაროს შესახებ

ერთი თვის მანძილზე ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული საინფორმაციო სააგენტოების ნიუსებში ძირითადად დაცულია სტანდარტი - მოცემულია წყარო და ახალი ამბავი. განსახილველ პერიოდში დაბეჭდილ 4 საგაზეთო სტატიიდან სამი -

ინტერვიუა, სადაც რესპოდენტები თავად გვევლინებიან ინფორმაციის წყაროებად; სტატიებში, როგორც წესი, ჟურნალისტები მხოლოდ ერთი წყაროს ინფორმაციით კმაყოფილდებიან. მაგალითად „რეზონანსის“ 28 მარტის ნომერში დაიბეჭდა საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ინფორმაცია „ქალაქის სარეკრეაციო ზონების განადგურება მიზანმიმართულად ხდება“. ინფორმაციის წყაროა „პოლიტიკური პარტია „სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზის“ საერთაშორისო მდივანი თეიმურაზ მურვანიძე, რომელიც საუბრობს „გაჩეხილ ბაღებსა და სკვერებზე მოსკოვის პროსპექტზე, იპოდრომის ტერიტორიაზე, კიკვიძის ბაღში, ბუკიას ბაღში და სხვა.“ ინფორმაციას პოლიტიკური დატვირთვა აქვს („ხელისუფლება სარეკრეაციო ზონების განადგურებას მიზანმიმართულად ცდილობს“) და მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობა. რაც პროფესიულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. ერთგან კი წყარო საერთოდ არ არის ნახსენები („რეზონანსი“, 23 მარტი, „ცხინვალი კვაისაში რადიოაქტიური ნარჩენების ჩამოტანას უარყოფს“), ჟურნალისტი მხოლოდ ზოგადი ხასიათის ფრაზით შემოიფარგლა - „გავრცელებული ცნობით.“



## სიზუსტე და ნეიტრალური ენა

გაზეთებში გამოქვეყნებულ საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციებში, რომელიც ეკოლოგიურ საკითხებს ეხება, ინფორმაციის სიზუსტე (ახალი ამბავი - წყარო-კომენტარი) და ჟურნალისტის ნეიტრალურობა დაცულია. გაზეთის ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სგაზეთო სტატიებში, ამ მხრივ, ოდნავ რთული მდგომარეობაა. გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ 4 სტატიაში ( „ცხინვალის კვანძის რადიოაქტიური ნარჩენების ჩამოტანას უარყოფს“, „მწვანეთა პარტიის ლიდერი სააკაშვილის განცხადებას მორიგ სიყალბეს უწოდებს“, „დღეს მთელს საქართველოში წყალდიდობაა მოსალოდნელი“, „ექსკურსიებისა და ლაშქრობების სეზონი აპრილიდან გაიხსნება“) თუ არ ჩავთვლით ზემოხსენებულ წყაროთა ნაკლებობასა და მხარეთა ბალანსს, ინფორმაციის სიზუსტე და ჟურნალისტის ნეიტრალური ენა ძირითადად დაცულია. იგივე შეიძლება ითქვას „კვირის პალიტრაში“ (#11) გამოქვეყნებულ რეპორტაჟული ტიპის სტატიაზე „ნაგვის ქალაქი“ ანუ ნაგავსაყრელი ქათქათა ბათუმის ფონზე.“ აქ ჟურნალისტი ნეიტრალური ენით კი მოგვითხრობს ნანახ სურათს, მაგრამ მისი შეფარული ტენდენციურობა ზემოხსენებულ მხარეთა მრავალფეროვნების დეფიციტში გამოიხატება.

ძალიან რთულადაა საქმე „კვირის პალიტრაში“ (#14) დაბეჭდილ სხვადასხვასათაურიან სტატიაში „ეს კანონი კი არა, საშვილიშვილო წყევლაა!!!“/ „ვინ მოგცათ ერის საარსებო გარემოს განადგურების უფლება?!“ ჟურნალისტის სუბიექტივიზმი და სტატიაში გადმოცემული ამბისადმი მიკერძოება აშკარაა. „აბსურდული კანონები არცთუ ცოტა მიუღია ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს, მაგრამ საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ ცვლილებებს რომ გადავხედო, ჩვენს პარლამენტზე სულ დამეკარგა წარმოდგენა... რაღა დაგიმალოთ და, კანონპროექტის კითხვის დროსაც კი არ ვუჯერებდი თვალებს და ხშირ-ხშირად ვიფშვნებდი, ფარსაგი სიზმარი არ იყოს-მეთქი!“ - წერს ჟურნალისტი ე.წ. ლიდში. შემდეგ მოცემულია მხოლოდ ერთი პოზიციის კომენტარები („გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების მოწინააღმდეგეთა. მეორე მხარესთან, როგორც ჟურნალისტი სტატიაში მიუთითებს, დაკავშირება ვერ მოახერხა.) სტატიის ბოლოს კი საუბარია 31 მარტს საქართველოში „დედამიწის საათის“ აღნიშვნაზე და კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიმართულ მასშტაბურ აქციაზე. „საკვირველია ასეთი დამთხვევა(!) ხომ არ არის ეს მიზანმიმართული ცინიზმი?!“- ასე ამთავრებს ჟურნალისტი სტატიას. ჟურნალისტის წერის ასეთი სტილი, ტონი, სუბიექტივიზმი საკმაოდ სერიოზული საკითხისადმი (საკანონმდებლო

ცვლილებები) მკითხველის უნდობლობას იწვევს, რაც სტატიის ობიექტურობაში დაეჭვების აშკარა საბაზს იძლევა.

## 2. გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ტელემედიაში

12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში ტელემედიაში („საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“, „მაესტრო“) გარემოსდაცვით თემატიკას 42 სიუჟეტი მიემძვნა. აქედან ყველაზე მეტი -20 სიუჟეტი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გავიდა, 6 - „კავკასიამ“, 7 - „იმედმა“ და 9 - „რუსთავი 2“-მა გაავრცელა. ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით ამ საკითხებზე არც ერთი სიუჟეტი არ გასულა. ეს პერიოდი „მაესტროს“ რეორგანიზაციას (დაპირისპირება დამფუძნებლებს შორის) დაემთხვევა, რომლის დროსაც საინფორმაციო გამოშვებები ტელეეთერში შეზღუდული ფორმატით გადიოდა.

მოცემული ერთთვიანი ვადის სატელევიზიო სიუჟეტების მონიტორინგმა საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა. ტელესიუჟეტებში გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქების კვლევის შედეგად თვალსაჩინო დიფერენციაცია მივიღეთ: განსხვავებული პრიორიტეტების ტელეარხებით ერთსა და იმავე საკითხზე შინაარსითა და პოზიციით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სიუჟეტები გავიდა.

განსახილველ თემატიკაზე სიუჟეტები ქართულ ტელესივრცეში იმდენად მცირეა, რომ თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა დიდ შრომას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ჩვენ რამდენიმე განსხვავებული თემის შესახებ გავრცელებულ სიუჟეტს უფრო ვრცლად შევხებით, ხოლო დანარჩენებს - გარკვეულ ჯგუფებად დავყოფთ და საერთო მახასიათებლებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

„კავკასიის“ 17 მარტის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში „დღეს“ ე.წ. კადრ-სინქრონი გავიდა - „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი ხელისუფლებას ტყის მასივის გაჩეხვასა და განადგურებაში ადანაშაულებს.“ საუბარია „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანაზე. მოცემულია მხოლოდ ჯგუფის წევრის ლაშა ჩხარტიშვილის სინქრონი. ამ შემთხვევაში არ არის დაცული ბალანსი, რადგან მაყურებლისთვის უცნობი დარჩა მეორე მხარის პოზიცია.

იმავე საკითხს ეძღვნება „კავკასიის“ ეთერით 19 მარტს გასული სიუჟეტი, რომელშიც მხარეთა ბალანსი შედარებით დაცულია. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებებზე ამჯერად ორივე მხარის პოზიციაა დაფიქსირებული. თუმცა,

სიუჟეტის დროს ტიტრები არ იყო დადებული სინქრონებზე, შესაბამისად, მაყურებლისთვის, შესაძლოა, გაურკვეველი დარჩა თუ ვინ აკეთებდა კომენტარს საკანონმდებლო ცვლილებებზე.

„კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებაში 3 აპრილს გასულ ე.წ. კადრ-სინქრონში საუბარია იმაზე, რომ „ეკოლოგიის სამართლის ცენტრი პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ კანონს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს“. მოცემულია ცენტრის ხელმძღვანელის სინქრონი, რომელიც აცხადებს, რომ „ბოლომდე იბრძოლებს, რათა პრეზიდენტს ეს ანტიკონსტიტუციური ცვლილება შევაცვლევინოთ.“ სიუჟეტში ნახსენები არ არის თუ რომელი კანონის ცვლილებებზეა საუბარი, ინფორმაცია ცალმხრივია, არ ჩანს მეორე მხარის პოზიცია, კანონის მხოლოდ პოლიტიკური შეფასებებია გადმოცემული (ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, გარემოს დაცვის მინისტრის გადაყენება...), არ ჩანს, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს საკანონმდებლო ცვლილებებმა გარემოს.

პროგრამაში „დღეს“ 6 აპრილს გასული ე.წ. კადრ-სინქრონი („ეკოლოგიური სამართლის ცენტრი და მწვანეთა მოძრაობა მდ. ბახვისწყალზე ჰესების მშენებლობას აპროტესტებენ“) ცალმხრივია. მოცემულია მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია - ორი სინქრონი: „ბახმარო დაკარგავს თავის ფუნქციას. ტყის მასივის გაჩეხვა გამოიწვევს კლიმატის შეცვლას...“ არ არის ხელისუფლების, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების, ექსპერტების კომენტარი.

რაც შეეხება ე.წ. სახელისუფლებო არხებს- საანგარიშო პერიოდში გარემოსდაცვით საკითხებზე „კურიერში“ („რუსთავი 2“), „მომბესა“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი“) და „ქრონიკაში“ („იმედი“) 5 საერთო თემა გამოქვდა: უამინდობა საქართველოში; პრეზიდენტმა გუდაურში ახალი საბაგირო და სათხილამურო ტრასა გახსნა; ბირთვული უსაფრთხოების სამიტი სეულში (ამ თემაზე „კავკასიის“ ეთერშიც გავიდა ე.წ. კადრ-სინქრონი); აქცია - „დედამიწის საათი“; თბილისს ტრამვაი უბრუნდება; ცუნამის საშიშროება ინდონეზიასა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებს ემუქრება. აქედან სამი - რეპორტაჟული ხასიათისაა, ერთი უცხოური საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციითა და ვიდეოკადრებით მომზადდა.

ამჯერად ყურადღებას სიუჟეტზე გავამახვილებთ, რომელიც თბილისურ ტრამვაის შეეხება. „კურიერში“, „მომბესა“ და „ქრონიკაში“ გასული სიუჟეტებში მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები, რომ ტრამვაი ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია („მომბესა“), პროექტის განმახორციელებელმა კომპანია „სისტრამ“ „პროექტის ტექნიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და ფინანსური ანალიზი წარმოადგინა“ („კურიერი“, „ქრონიკა“). რადგან მთელ მსოფლიოში ტრამვაის სწორედ ეკოლოგიურობის გამო ენიჭება უპირატესობა, სასურველი და აუცილებელი იქნებოდა თბილისური

ტრამვაის გარემოსდაცვითი ანალიზის თუნდაც ძირითადი მაჩვენებლების შესახებ მაყურებლისთვის ინფორმაციის მიწოდება.

13 მარტს „კურიერში“ გავიდა სიუჟეტი - „საქართველო თურქეთისა და ევროპის ქვეყნებისთვის ელექტროენერჯის მიმწოდებელი ხდება. ექსპორტის გაზრდა კი საქართველოში მშენებარე 15 ჰესზეა დამოკიდებული“. სიუჟეტში განხილულია ამ ფაქტის ეკონომიკური (ინვესტიციები, შემოსავალი ბიუჯეტში), პოლიტიკური (ენერგოდამოუკიდებლობა), სოციალური (ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება) და ნახსენებაც არ არის პროექტის განხორციელების ეკოლოგიური მხარე. წამყვანისა და ჟურნალისტის ტექსტში (რომ არაფერი ვთქვათ ექსპერტის სინქრონზე) გარემოსდაცვით საკითხებზე სიტყვა არ არის დამრული.

მსგავსი სიტუაციაა 24 მარტს „მომბეში“ გასულ სიუჟეტში, რომელიც აჭარაში ახალი ჰესების მშენებლობას ასახავს. აქაც ეკოლოგიური საკითხის განხილვა მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებლის „ქლინ ენერჯი გრუფის“ იურისტის სინქრონით შემოიფარგლება: „გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების დოკუმენტი ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისთვის იქნება.“ კარგი იქნებოდა, ამ დოკუმენტის ძირითადი პუნქტები მაყურებლისთვისაც ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ექსპერტის სინქრონი კი საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდებოდა.

ფორმატიდან გამომდინარე შედარებით მეტ ყურადღებას უთმობს გარემოსდაცვით საკითხებს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. გარდა ზემოთაღნიშნული საერთო თემებისა, „მომბეში“ ექსკლუზიურად გაშუქდა საზოგადოებისთვის პრობლემური რამდენიმე საკითხი. მათ შორის, დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევში წყალსაცავის გაყინვა; მეწყერი აჭარაში, სოფელ პაქსაძეებში; ნაპირსამაგრი სამუშაოები მოსალოდნელი წყალდიდობების პრევენციის მიზნით. თუმცა, აქაც შეიმჩნევა ჟურნალისტური სტანდარტების უგულვებელყოფა.

„მომბემ“ 14 მარტს გააშუქა გურჯაანის მოსახლეობისთვის პრობლემური საკითხი - მგლების შემოსევა. სიუჟეტში საუბარია თუ როგორ მომრავლდნენ მგლები გურჯაანში, როგორ ესხმიან თავს მოსახლეობას, როგორ უმკლავდება მოსახლეობა საკუთარი ძალებით მათ. მოცემულია მოსახლის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის სინქრონი, რომელიც აცხადებს, რომ „საქმის კურსშია გარემოს დაცვის სამინისტრო, ბოლომდე იქნება აღკვეთილი მსგავსი გარემოება.“ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიციის დაფიქსირება: როგორ უნდა ებრძოლონ, უნდა მოკლან თუ არა მგელი, რა შედეგი შეიძლება ამან გამოიწვიოს, ხომ არ დაირღვევა ბუნებრივი ბალანსი, არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა.

ორი სიუჟეტი (23 მარტს, 27 მარტს) მიუძღვნა „მომხმე“ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რადიაციის საფრთხეს. ორივე შემთხვევაში ამოსავალი წერტილი გახლდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს რუსეთი კვასისაში რადიოაქტიური ნარჩენებისთვის სამარხს აშენებს. ორივე სიუჟეტი მთლიანად პოლიტიკური შინაარსისაა. ძირითადი მესიჯი: „გახდება თუ არა სამხრეთ ოსეთი კრემლის რადიოაქტიური ნარჩენების ნაგავსაყრელი.“ ორივე სიუჟეტი დატვირთულია სინქრონებით. სიუჟეტის ძირითადი მიმართულება საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის კომენტარშია მოცემული - „ოკუპირებული ტერიტორიები იქცა ნარკოტიკების და ბირთვული მასალების უკანონო ტრაფიკის მარშრუტად. საწინდარი იმისა, რომ ეს რეგიონები არ იყოს ყოველგვარი კონტრაბანდის და უკანონობის ბუდე, დეოკუპაციაა.“ არც ერთ სიუჟეტში არ არის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების, სამინისტროს წარმომადგენლების თუ ბირთვული უსაფრთხოების ექსპერტების კომენტარი, რომელიც ეკოლოგიის კუთხით კონკრეტულ შესაძლო საფრთხეებს შეაფასებდა. მხოლოდ 23 მარტის სიუჟეტშია ჟურნალისტის ტექსტი - „ექსპერტების აზრით რეგიონში ორჯერ მოიმატებს რადიაციული ფონი, გაიზრდება ონკოდაავადებათა რიცხვი.“

ქართული ბეჭდური და სატელევიზიო მედიის ერთთვიანი მონიტორინგის შედეგად საკმაოდ საინტერესო სურათი შეიქმნა. აღმოჩნდა, რომ ქართული მედია მსოფლიოში მოდური და პოპულარული თემისადმი - ეკოლოგიისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თუ არა ბუნებრივი კატაკლიზმები (მიწისძვრები, ტაიფუნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, უამინდობა საქართველოში) და ზოგიერთი კამპანიური ხასიათის ღონისძიებები (ბირთვული უსაფრთხოების სამიტი სეულში, საბაგროს გახსნა რიყეზე, ტრამვაი თბილისში, დედამიწის საათი) გარემოს დაცვით თემატიკას მედია საერთოდ არ შეეხებოდა. ამ მხრივ საგამომიებო ჟურნალისტიკის არსებობაზე კი საერთოდ საუბარი ზედმეტია.


ეკოლოგიისადმი დაქვეითებულ ინტერესზე მეტად საინტერესოა ტენდენციები, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ ისედაც მწირი ოდენობის საგაზეთო სტატიებსა და ტელესიუჟეტებში გამოიკვეთა. ეს ტენდენციები ტელესიუჟეტებში უფრო თვალშისაცემია. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ე.წ. სახელისუფლებო და ოპოზიციური ტელევიზიები ერთნაირად ტენდენციური ხასიათის ინფორმაციას აწვდიან მაყურებელს. მაგალითად, 1. საქართველოში ახალი ჰესების მშენებლობაზე სრულ ინფორმაციას არც ერთი არხი არ ავრცელებს: თუ „რუსთავი 2“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ჰესების მშენებლობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ დადებით კონტექსტში აშუქებენ (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური დივიდენდები), „კავკასია“ ჰესების მშენებლობით გამოწვეულ მხოლოდ ეკოლოგიურ საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას. 2. არც

ერთ ე.წ. ოპოზიციურ არხს (მონიტორინგის პერიოდში) არ მიუწვდია ინფორმაცია საქართველოში უამინდობის, საავტომობილო გზებზე მდგომარეობის, ზვავსაშისროების, ყინვის და ა.შ. შესახებ. 3. არც ერთ ე.წ. სახელისუფლებო არხს არ გაუშუქებია „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში შეტანილი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და ამ ცვლილებებზე გარემოსდაცვით თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა პროტესტი.


აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სამაუწყებლო არხების მიერ მომზადებული სიუჟეტების მიხედვით ქვეყანაში არსებულ გარემოსდაცვით პოლიტიკაზე, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე სრული სურათი არ იკვეთება. მაყურებელი იღებს ცალსახა ინფორმაციას. ამბავსა თუ მოვლენაში სრულად გასარკვევად, მაყურებელს სხვადასხვა არხის საინფორმაციო გამოშვებების ყურება და შემდეგ ინფორმაციის შეჯერება სჭირდება.

ეკოლოგიური საკითხების გაშუქების ხარისხობრივი სიმწირის გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ თემისადმი მიძღვნილი სტატიებისა და ტელესიუჟეტების რაოდენობაც საკმაოდ მცირეა. 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში გამოსული გაზეთების „24 საათის“, „რეზონანსისა“ და „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე ეკოლოგიური შინაარსის სტატიების უმეტესობა საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციაა.

სამივე გაზეთში ერთი თვის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების (საშუალოდ 2630 სტატია) მხოლოდ 0,6% (16 სტატია) ეხება გარემოსდაცვით საკითხებს.



ხოლო იმავე პერიოდში ზემოთხსენებული ხუთი ტელეარხის ეთერით გასული 1070 სიუჟეტიდან მხოლოდ 4% -ში (42 სიუჟეტი) გაშუქდა ეკოლოგიური თემატიკა.



## მედიის განვითარების ფონდი

ალ. ჭავჭავაძის გამზ. 54

თბილისი, საქართველო, 0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 222 00 16

ვებ-გვერდი: [www.mdfgeorgia.ge](http://www.mdfgeorgia.ge)

ელ-ფოსტა: [mdfgeo@gmail.com](mailto:mdfgeo@gmail.com)

[info@mdfgeorgia.ge](mailto:info@mdfgeorgia.ge)